მოედანზეა ათი ფეხბურთელი

ხარკოვი. “ავანგარდის” სტადიონი. 24 ივნისი.

“ავანგარდი” (ხარკოვი) _ “დინამო” (თბილისი) 0:2 (0:2).

“დინამო”: კოტრიკაძე, სიჭინავა, ჩოხელი, ხოჭოლავა, ზეინკლიშვილი, დათუნაშვილი, მელაშვილი, ბარქაია (ჩხარტიშვილი), კალოევი, იამანიძე, ჟორდანია.

“ავანგარდი”: ლაზუნოვი, ჩერნიშოვი, მარიენკო, სოკოლოვი, მასლენიკოვი, პანფილოვი, ვორონინი, მანგასაროვი (კოროლიოვი), კოსტაუკი, ფროლოვი.

მსაჯი გ. ეპიხინი (მოსკოვი).

ხარკოვის “ავანგარდის” მწვრთნელებმა და ფეხბურთელებმა კარგად იცოდნენ, რომ მათ მოწინააღმდეგეს _ თბილისის “დინამოს” აკლია ორი ძირითადი ფეხბურთელი, რომლებიც ავად არიან (ღოღობერიძე, თორაძე) და საბჭოთა კავშირის ნაკრების სამი წევრი (მესხი, კალოევი, ჩოხელი). ეს იცოდნენ გულშემატკივრებმაც, მაგრამ ამ დიდი დანაკლისიდან მატჩის დღისათვის გუნდს ჩამოუვიდა ისეთი “მაშველი ძალა”, როგორებიც არიან კალოევი და ჩოხელი, და თუ ავანგარდელებს ერჩიათ საქმე ჰქონოდათ დინამოელთა ისეთივე შემადგენლობასთან, როგორიც მოსკოვის “ტორპედოსთან” თამაშობდა, მაყურებლებმა გარკვეული სიამოვნება მიიღეს სსრ კავშირის ნაკრების მოთამაშეთა ხილვით. დასამალი არაფერია: თბილისის “დინამოს” ხარკოვში მრავალი ქომაგი ჰყავს და მათი გულწრფელი სურვილი იყო თავიანთ მინდორზე ენახათ მ. მესხიც.

ხარკოველებმა კარგად დაიწყეს თამაში. დიდი ენერგია, მონდომება და შრომისუნარიანობა გუნდს საშუალებას აძლევდა ხანგრძლივი შეტევა ეწარმოებინა და თავისი კონტროლის ქვეშ ჰქონოდა ბურთი. მასპინძელთათვის თითქოს ყველაფერი კარგად მიმდინარეობდა, მაგრამ გამოცდილი თვალი შეატყობდა, რომ ეს არ იყო ის უპირატესობა, რომელსაც საფეხბურთო მინდორზე გამარჯვება მოაქვს.

მთელი თამაშის ანგარიში დაიწყო და მოთავდა მე-15 წუთზე. პირველი ბურთი გაიტანა მელაშვილმა, ხოლო მეორე იამანიძემ და ეს მოხდა ისე, რომ “ავანგარდის” მცველებმა ვერ მოასწრეს კარის მისადგომების დროზე დაკეტვა.

დასანანი ამბავი მოხდა 35-ე წუთზე. მსაჯთან შეკამათებისათვის მინდვრიდან გაძევებულ იქნა იამანიძე და თბილისელები მთელი ამ ხნის განმავლობაში 10 კაცის შემადგენლობით იბრძოდნენ. რა თქმა უნდა, ასეთ ვითარებაში “დინამოს” აღარ შეეძლო ძველებური ძალით ეთამაშა, მაგრამ ის, რომ გუნდმა შეინარჩუნა ანგარიში 2:0 თავის სასარგებლოდ, უკვე მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენს.

ხარკოველთა მისამართით უნდა ითქვას, რომ მათ ვერ შეძლეს რიცხობრივი უპირატესობის გამოყენება და მაშინაც კი, როცა თბილისის გუნდში 10 მოთამაშე იყო დარჩენილი, ისინი ვერ ბედავდნენ ნახევარმცველების ჩართვას შეტევაში.

თბილისის “დინამომ” ღირსეულად მოიპოვა 2 ქულა ჩვენს ქალაქში.

ამავე გუნდების დუბლშემადგენლობათა შეხვედრაში გაიმარჯვეს ხარკოველებმა _ 1:0.

ვ. დუდავსკი, ხარკოვი.
“ლელო”, 26 ივნისი, 1960 წ.